



პალიტრა ადენა

სპორტი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ოქტომბერი შაბათი 2011
№231 (13528) ფასი 80 თეთრი



ბესიკ ჯანგავეძე პალმერსტონიდან

lariwin.com
the better way to play

რეკორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

მეტი, ვიდრე თამაში

როუმინებულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

თბილისში მხედოსნობაში მსოფლიოს თასის ეტაპის, კავკასიის ლიგის პირველ დღეს ქართველებმა იმეორეს



შალვა განჩილაძე

ივანე ნორაკიძე

ჰეი კონა რა, ზელანდია! მსოფლიოს თასს ომით ვეთხოვებით



დღეს რა დაგვაძინებს, ნაშუაღამევს, 04 საათზე საქართველო-არგენტინა

8-9

ლონში, 2007 წლის მსოფლიოს თასზე - საქართველო-არგენტინა 3:33. მაღლაზ ურჯუკაშვილი (მარჯვენე) ახლაც ძირითადშია


ლილი მარჩი



კვირას იუვი-მილანი

ანდრეა პირლო ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

ასალი სტადიონი



ბილანო ჩიბი

მსოფლიოზე მაგარაა

5

წყაღბურთელთა ეპროზანსი



10

ვლახეთს თუ გაღაგღაგავთ...

საქართველოს ნაკრების ლიდერი რევაზ ჩომბიძე



Lariwin.com
the better way to play

რეკორტაქების სკონსორი
ონლაინ კაზინო „ლარივინი“
საბანკო სერვისები

მეტი, ვიდრე
თამაში

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ბასიქ ჯანგაძე კალმარსტონიდან

რაბი. მსოფლიოს თასი

მეტი ვიდრე თამაში და თავდადებული თამაშისთვის ემზადება

“რომორ შეიძლება ეს ორი გუნდი არ მოგწონდეს. მამუკა გორგოძე ამ დროისთვის ტურნირის საუკეთესო მოთამაშეა. არგენტინის ნაკრები კი ყველაზე გაუტეხელი გუნდია მსოფლიოში” – ეს მოსაზრება ბუქმეკერული კომპანია “სკაი ბეთის” პროგნოზების წინასიტყვიანობაში ამოვიკითხეთ. ამ და სხვა კომპანიებს ფავორიტად “პუმები” მიაჩნიათ, თუმცა, ვინ უფრო ძლიერია, ამას ხვალინდელი ბრძოლა გვიჩვენებს.

“ბორჯღალოსნებმა” რუმინეთთან საკმაოდ მძიმე, მომქანცველი მატჩის შემდეგ გუშინ პირველად ივარჯიშეს. ჩვენმა ნაკრებმა წერტონის ადგილი გამოიცივლა. “ლაინთონის სამხედრო ბაზის” ნაცვლად ორგანიზატორებმა “არენა მანავატუს” სათადარიგო მინდორი შემოგვთავაზეს, რაც ხარისხით სამხედრო ბაზისას არაფრით ჩამოუვარდება.

ვარჯიშამდე რამდენიმე საათით ადრე კი საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც არგენტინასთან სათამაშოდ შერჩეული რაზმის შემადგენლობა გააცხადა.

“ბორჯღალოსანთა” რიგებში რუმინეთთან გამართული მატჩის შემდეგ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. დავიწყობ შერჩენებით. პირველ ხაზში ძირითად შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ დავით ზირაქაშვილმა შეინარჩუნა. მარცხენა ბურჯად დავით ხინჩაგიშვილის ადგილს ვასილ კაკოვინი დაიჭირს, რომელიც რუმინელებთან მატჩში შეცვლაზე შევიდა და თამაშში შესანიშნავად ჩაერთო.



შერჩენების კვატად დიქსონმა გამოცდილი და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე აქესენტი გიორგაძე დააბრუნა. ჯაბა ბრეგვაძე კი, რომელიც აქამდე ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, თადარიგში გადაიყვანა: მისგან განხვავებით, ხინჩაგიშვილი 22-კაციან განაცხ-

ადში ვერ მოხვდა. სათადარიგო ბურჯი გოდერძი შველიძე იქნება. ცვლილებები მეორე და მესამე ხაზსაც შეეხო. მეორე ხაზში ილია ზედგინძის ნაცვლად ლევან დათუნაშვილი ითამაშებს, რომელიც ბოლო ორ შეხვედრაში თადარიგიდან ერთვებოდა. ზედგინ-

ძე და კიდევ ერთი მეორეხაზელი გიორგი ნემსაძე სათადარიგოთა შორის დაიკავებენ ადგილს. ნემსაძეს აქამდე მსოფლიოს თასზე არ უთამაშია. დათუნაშვილს პარტნიორობას ვახტანგ მაისურაძე გაუწევს, რომელიც ყველა თამაშში ძირითად შემადგენლობაში იყო.

რიჩი დიქსონმა გადაწყვიტა, მესამეხაზელი დიმიტრი ბასილაია დაასვენოს. ახალგაზრდა რვა ნომერმა განვლილ შეხვედრებში თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. მის ადგილს ფლანკერი მამუკა გორგოძე დაიკავებს. მამუკას პოზიცია კი დიქსონმა ვიქტორ კოლელიშვილს ანდო. კიდევ ერთი მესამეხაზელი გიორგი ჩხაიძე იქნება. შალვა სუთიაშვილი ტრავმირებულია.

საკმაოდ საინტერესო გადაადგილებებია უკანა ხაზში. ცხრა ნომერზე ისევ კაპიტანი ირაკლი აბუსერაძე ითამაშებს. მეფხავი კი ლაშა ხმალაძე იქნება, რომელმაც რუმინელებთან ფულბეკად საკმაოდ კარგად ითამაშა. მერაბ კვირიკაშვილი დიქსონმა თადარიგში გადაიყვანა. ფულბეკი კი გამოცდილი მალხაზ ურჯუკაშვილი იქნება, რომელსაც საქართველოს ნაკრებისთვის თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ყველაზე მეტი ქულა მოუტანია.

ტრავმირებული გარემარბის ირაკლი მაჩხანელის ნაცვლად ამჯერად ლექსო გუგავა ითამაშებს, რეზო გიგაური კი სამატჩო განაცხადში არ არის. მეორე ფრთაზე ადგილს ისევ ალექსანდრე თოდუა დაიკავებს. უცვლელია შუამარბების, თედო ზიზნიძისა და დავით კაჭარავას დუეტი. მათ შემცვლელად თადარიგში დიქსონმა ლაშა მალალურაძე შეივლდა.

ვარჯიში, როგორც ყოველთვის, მოთვლით დაიწყო. თუმცა ფიზმომზადების ავსტრალიელმა მწვრთნელმა გარეთ ადამსონმა ბიჭები ამჯერად ჩვეულებრივზე მეტხანს შეაყოვნა.

მეტი ვიდრე თამაში

Lariwin.com

15 000 ლარის ფულადი პრიზი

რატომ LariWin.com?

- უსაფრთხო პროგრამული უზრუნველყოფა
- 50 ლარიანი პაკეტი ყველა მოთამაშეს
- უნიკალური VIP კლუბი
- 5 000 ლარიანი ქულების რბოლა
- 40-მდე კაზინოს თამაში

Lari poker Laricasino.com

the better way to play
www.lariwin.com

სმოკერ ხელტი

ბანისაფთ ხაიმოვნება, იოკუნეთი უიკად უივიანასა და ჯანმრთელ სხოკოპოპაჟა!

სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დაზუადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!

Nabros Pharma Pvt. Ltd.
მისამართი: „ნაბროს ფარმა“
უნიკალური მარკა/სარეკლამო სახელი/სარეკლამო
შ.ს.ს. „სოკოპოპაჟა“
მისამართი: № 56
ბელ: 223 83 25

მერე გუნდი ორად გაიყო. ძირითადის მოთამაშეებმა ყვითელი მაისურები ჩაიცვეს და სტატიკური მდგომარეობიდან, რაკიდან და შერკინებიდან მოკლე ფრთაზე შეტევის რამდენიმე ფაზის დამუშავებაში ივარჯიშეს. წერთნას **ჯონ მაგლტონი** ხელმძღვანელობდა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, მორკინალები რიჩი დიქსონმა ცალკე გაიყვანა და საკმაოდ დიდხანს დერეფანში თამაშში ავარჯიშა. ამ დროს **დონ კასკი** უკანასაბუღლებს ხელდახელ კომბინაციების ორგანიზებას ასწავლიდა.

მერე შერკინება და უკანა ხაზი ისევ გააერთიანეს და აუტიდან ბურთის მონოდების შემდეგ შეტევა დამუშავეს. ბოლოს დამრტყმელები დარჩნენ და კარში დარტყმაზე ივარჯიშეს. გუნდი მთელი შემადგენლობით ავტობუსით სასტუმროში გაემგზავრა, ერთადერთი, ვინც მოედანზე დარჩა და კარში დარტყმაში ივარჯიშა განაგრძო, ფულბეკი მალხაზ ურჯულაშვილი იყო.

საქართველოს ნაკრებისთვის ბოლო მატჩს ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში, საკმაოდ სერიოზულად ეკიდება არგენტინის ეროვნული გუნდი. "პუმებს", მიუხედავად იმისა, რომ უშუალო კონკურენტი, შოტლანდიის ნაკრები დაამარცხეს - 13:12, პლეი ოფში გასვლა ჯერ განადგებულ არ აქვთ.

"ჩვენ პლეი ოფში გასვლის შესანიშნავი შანსი გვაქვს, ამიტომ საქართველოს ნაკრებთან არა 100, არამედ 110 პროცენტით უნდა გავიხარჯეთ. ვფიქრობ, მძიმე პრძოლა გველის, დიდი ძალის-

ხმევა და გვეჭირდება ქართველების დასამარცხებლად.

საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია. ქართველმა მორაგებებმა, იმის გამო, რომ სამი დღის წინ თამაშში ჰქონდათ, არა მგონია, დალოდობა იგრძნონ. რაც მე მაგათი მატჩები ვნახე, ისინი სულ უკეთ და უკეთ თამაშობენ. ვფიქრობ, ქართველები კვირას იოლად არაფერს დაგვითმობენ.

ამიტომ, ჯერ მეოთხედფინალზე ფიქრი ადრეა. ის თავიდან უნდა ამოვიგდოთ. სამიზნე მხოლოდ საქართველოს ნაკრები უნდა იყოს. მოვიგებთ და მერე პლეი ოფზე ფიქრიც შესაძლებელი იქნება" - თქვა არგენტინის ნაკრების გარემარბმა **ორაისო ავულამ**.

ცხადია, კარგია მეტოქე რომ ასე დიდად გაფასებს, თანაც ისეთი, თავად რომ ბოლომდე მებრძოლია და იოლად არავის არაფერს უთმობს. თუმცა, "პუმებს" ჩვენს ნაკრებთან მატჩის წინ, ტრავმების გამო, საკადრო პრობლემები შეექმნათ.

"სკოტებთან" დაპირისპირებაში მძიმედ დაშავდა და "ბორჯღალოსნებთან" ვერ ითამაშებს არგენტინელთა ერთ-ერთი ლიდერი, გუნდის ვიცე-კაპიტანი **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე**, მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში **ლენონარდო სენატორე** დაიკავებს.

დაშავდა "პუმების" შერკინების პირველი ხაზის ერთ-ერთი ლიდერი, ვეტერანი **როდრიგო რონსერო**, რომლის ნაცვლადაც **მარკოს აიერსა** ითამაშებს. მეორეხაზელ **მანუელ კარისას** კი **მარიანო გალარსა** ჩაანაცვლებს.



ფეხის ტერფი ჰქონდა დაშავებული, მაგრამ გამოჯანმრთლება მოასწრო არგენტინელთა კიდევ ერთმა ლიდერმა, მესამეხაზელმა **ხუან ლეგუსამონმა**. დაზიანებული ნეკნი ისევ აწუხებს, თუმცა ისტიბარს არ იტყვის და აუცილებლად ითამაშებს "ბორჯღალოსნებთან" შუამარბი **ფელიპე კონტეპომი**, რომელიც მსოფლიოს თასის წლევეანდელ გათამაშებაში მონაწილეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. შეგახსენებთ, რომ კონტეპომი მსოფლიოს რაგბის

უდიდეს ფორუმში მეოთხედ მონაწილეობს.

ძირითად შემადგენლობაში დაინიშურა ფელანმა "ნარმავეტთან" მატჩის გმირი **ლუკას ამოროსინო**, რომელმაც, სოლო გარღვევით შოტლანდიის ნაკრებს მწარე მარცხი აგვა. **მარტინ როდრიგესმა** კი სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და არგენტინის ნაკრებების შეხვედრა ხვალ, პალმერსტონში თბილისის დროით დღის 4 საათზე დაიწყება.

საქართველო-არგენტინა

საქართველოს ნაკრები: 15. მალხაზ ურჯულაშვილი, 14. ლექსო ჭუგუაძე, 13. დავით კაჭარავა, 12. ტიტო ზიზნიძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. ლაშა წმინდაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე, 1. ვასილ კაკოვიანი, 2. აქესენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მალხაზაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. ვიქტორ კოლელიძე, 8. მამუკა გორგოძე.

16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. გოდერძი შველიძე, 18. გიორგი ნემსაძე, 19. ილია ზედვინიძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. მერაბ კვიციანი, 22. ლაშა მალაღულაძე.

არგენტინის ნაკრები: 15. ლუკას ამოროსინო, 14. ორასიო ავულა, 13. მარსელო ბოსსი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ხუან იმბოფი, 10. სანტიაგო ფერნანდესი, 9. ნიკოლას ვერგალო, 1. მარკოს აიერსა, 2. მარიო ლეგესმა, 3. ხუან ფიგალო, 4. მარიანო გალარსა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულო კაბელი, 7. ხუან ლეგუსამონი, 8. ლენონარდო სენატორე.

16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. ტომას ვალეზოსი, 19. ალხანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლალანე, 21. ავგუსტინ გოსიო, 22. მარტინ როდრიგესი.

მსაჯი: ალან როლანი (ირლანდია)

D ჯგუფი	
სამხრეთ აფრიკა-სამოა	13:5
საბარინო მდგომარეობა	
1. სამხრეთ აფრიკა - 18 ქულა, 2. უელსი - 10, 3. სამოა - 10, 4. ფიჯი - 5, 5. ნამიბია - 0.	
დღეს	
აშტრალია-რუსეთი	06:30
საფრანგეთი-ტონგა	09:00
ინგლისი-შოტლანდია	11:30

სანქსია

დისკვალიფიკაცია ინგლისის ნაკრების მწვრთნელს



მსოფლიოს თასის გათამაშების სადისციპლინო კომიტეტმა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **დეივ ელერი** და ფიზიომზადების მწვრთნელი **პოლ სტრიჯონი** ერთმანეთი დისკვალიფიკაციით დასაჯა. "პუმების" მწვრთნელთა შტაბის წევრები იმის გამო დაისაჯნენ, რომ რუმინეთის ნაკრებთან მატჩში საჯარიმოს დარტყმისას **ჯონი ვილკინსონს** ბურთი გამოუცვალეს, რაც IRB-ს წესდების მიხედვით ისაჯება. "სამწუხაროა, რომ ასეთი ცუდი ინციდენტი მოხდა, მაგრამ ველა-რაფერს შეცვლი. ჩვენ გარკვეული ზომები უკვე მივიღეთ და ახლა მთავარია, რომ წინ ვიაროთ." - თქვა ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა**.



მწ. 3-4 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საკალათბურთო კლუბი გამართავს 1996-97 წლებში დაზარალებულ კალათბურთელთა შერჩევას. შერჩეული კალათბურთელები არ იხდიან კლუბში თამაშის გადასახადს და უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ვეობირებით. შერჩევა გაიმართება პილიგის აკადემიაში.

მისამართი: გმირ კურსანტა ქ. 1
ტელ: 257 35 49
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.Policeacademy.ge

კომპანია ალგატროსი

ფიჩმა COMMERLING-ის და SALAMANDER-ის ოფისინალური დისტრიბუტორი საქართველოში

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

სამაგი უზრუნველყოფით. მხოლოდ ჩვენი

თაღები, ვიპრაჟები, მინა-პაკეტები

ფარავნი, თეთრი, ნაღის ტანსაცმელი, გააბონი, წითელი ხა და კაპალი, NUSSBAUM

ჩვენი ჰილოფიცი 5-ბაბაჩიანი 76 მმ სამონტაჟო სისხით

მის: ნარათლის 141 (M „დილაის“ კვარტალი)

35 47 47; 34 49 40; 599 90 20 91; 599 30 22 90; ფაქსი: 35 13 13

GH აორბიან ვაუვი

შემოგვიჩიეთით!

იყიდება ბინები და კომუნიკაციები თბილისში, გუბაშვილის გამზ. 12, იაფად, 12 თვითანი უპრობლემო განვადებით, დასრულებული შენობა-ნაგებობა

www.ghouse.ge

თბილისი, ვაჟა-ფშაველას №16, ოფისი №1312, ტელ: (995 32) 313208; 313209, info@ghouse.ge



ქართული სპორტი

სხენოსნობა კავკასიის ლიგა

სხენოსნობა კავკასიის ლიგა



შალვა გაჩეჩილაძე

საქართველო არ არის განვითარებული მალაქის რანგის ცხენოსნობის ასპარეზობების მასშტაბობით. საერთაშორისო ფედერაციამ სპორტის ამ რანგის სახეობის შემდგომი განვითარების მიზნით მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპის ლიგა შექმნა და გამოყო კვოტა. ამ ეგიდით რამდენიმე ასპარეზობა ტარდება ყოველწლიურად კავკასიაშიც — ბაქოსა და თბილისში. მონაწილეები ქულების აგროვებენ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.

კავკასიის ლიგა 2009 წლიდან ტარდება და საკმაოდ პოპულარულიც გახდა. დაბრკოლებათა გადალახვაში (კონკურ) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხედრების ოსტატობის დონის ასამაღლებლად ეს ტურნირი ჯერჯერობით ყველაზე სოლიდურია კავკასიის რეგიონისთვის. წლეულს ეტაპს ბაქომ ხუთჯერ უმასპინძლა, თბილისმა — მეორედ.

წლევიანდელ შეჯიბრებაში ერთი პოლონელი ცხენოსანი ქალიც მონაწილეობს — ალენა დრალინა. ის თავისი მერით არ ჩამოსულა თბილისში. ცხენები ბაქოდან ჩამოყვანეს, მაგრამ შედეგი არც მხედარს და პოლონეთს ეთვლება და არც აზერბაიჯანს. პოლონელის სტიმული ასპარეზობა და სოლიდური საპრობო ფონიდან რაიმე ნილის მიღებისთვის ბრძოლაა. ცხენის აზერბაიჯანულ მფლობელს კი თავისი

მერის შესაძლებლობების გამოცდაც სურს.

გუმინ შეჯიბრება დაიწყო დაბალი (120 სმ-მდე) წინაღობების გადალახვით, რაც ერთგვარი პრელუდია იყო ცხენმხედრებისთვის უფრო რთულ (150 სმ-მდე) კონკურში საასპარეზოდ.

დებულებით საპრობო I-V ადგილები ითვლება. ქვემოთ ნახავთ, რომ მხედრებს უჯარიმოდან თანაბარი ჯარიმით აქვეთ გაველილი დისტანცია. ამიტომ ადგილები განაწილდა იმის მიხედვით, ვინც ფინიში ნაკლებ დროში გაიარა.

მაშ ასე, წარმოგიდგინთ საპრობო ხუთეულს. **კონკური №1. დაბალი კლასი:** 1. ივანე ნორაკიძე, 2. ალენა დრალინა (პოლონეთი), 3. ივანე ნორაკიძე (მეორე ცხენით), 4. გეორგი ოგანესიანი (სომხეთი), 5. გიორგი თოსაძე. ყველა მხედარმა შეჯიბრება უჯარიმოდ დაამთავრა.

კონკური №2. ძირითადი ცხენებით (დაბრკოლებების სიმაღლე 145 სმ-მდე): 1. შალვა გაჩეჩილაძე - 0 საჯარიმო ქულა, 2. ლიხმეძე მუსტაფა (აზერბაიჯანი) - 4, 3. ლუსინა - 4, 4. მუსაევი - 4, 5. ლუსინა (მეორე ცხენით) - 4. ადგილები აქაც ზემოხსენებული პრინციპით განაწილდა. უკვე გართულებული პროგრამით შეჯიბრება დღეს გაგრძელდება და ხვალ დამთავრდება.

თორნიკე გარეჯიანი

თავისუფალი ჭიდაობა ნაკრები

თავისუფლების სტამბოლური შუქ-ჩრდილები

გაგრძელება. დასაწყისი გუმინდელ ნომერში

უმაღლო წონავი

დარჩენილი ორი ქვედა წონიდან 60 კილოგრამში მეტ-ნაკლებად დადებითი ვითარებაა და აკი ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ზარქუამ ლიცენზიაც მოიპოვა, მაგრამ ეს ბიჭი ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა წონის ლიდერად, ის უფრო მედლის სახელობის მოტრიალეთა სიაში შედის. ძალზე მოულოდნელი იყო მისი მარცხი პირველივე წრეში... პუერტორიკელ ფრანკლინ მატომ გომესთან, თუმცა მერე ამან სულაც ფინალი იჩიდა და გახდა აზერბაიჯანელთან ჩეჩენი ნატურალიზებული ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ზელმხან ჰუსეინოვიც კი ჩამოვიდა. მიგვანია, რომ ზარქუამ გომესი, უბრალოდ, ვერ შეაფასა, როგორც არასაჭიდაო ქვეყნის წარმომადგენელი, თორემ ურგო ფორმაში რომ არ იყო, ეს ნაწილობრივ დამამშვიდებელშიც დაამტკიცა, სადაც იმავე ჰუსეინოვსაც აჯობა. სანუგეშო მან იგივე მეტოქეებს სძლია, ვისაც გომესმა მოუგო, ანუ ის მოულოდნელი წაგება რომ არა, ფინალშიც ვიხილავდით, ახლა კი უმედილოდ დარჩა.

სამწუხაროდ, გრძელდება ჩავარდნა 66 კილოგრამში, სადაც შალვა მუზიაშვილი ვერაფრით ახერხებს წარმატებით ჭიდაობას. ისე ეტყობა, აქ ყველაზე მეტად გავეჭირდება ლიცენზიის მოპოვება. საერთოდ თუ ავიღებთ, ჩვენს შანსებს ის ზრდის, რომ უკვე ლიცენზირებული ფედერაციები სათანადო ტურნირებში მონაწილეს ვერ გაავ ზავნიან და სალიცენზიო შეჯიბრებ-

ნამყვანი ქვეყნები დიდი ტურნირების წინ კონკურენტთა შორისაც არ გვახსნებენ, სათვალავშიც არ გვაგადებენ. არც ისე დიდი ხნის წინათ ორივე სტილის ჭიდაობაში ნამყვანი პოზიციები გვეკავა, ახლა კი რალაც ისე ჩანს, ნა-სუფრალის იმედად დავრჩით.

ბებში შედარებით სუსტი შემადგენლობა გამოვს. საბედნიეროდ, ამ წონაში ლიდერი ქვეყნების უმეტესობამ საგზური სტამბოლშივე გაინაღა, მაგრამ რამდენიმე ძლიერსაც მოეცარა ხელი, ესენია: თურქი ოლიმპიური ჩემპიონი რამაზან შაჰინი, ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი სუმილ კუმარი, უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი ანდრეი სტაღინი და კიდევ რამდენიმე ძლიერი კონკურენტი... სამწუხაროა, რომ ოთარ თუშმეილის შემდეგ ამ წონაში ძლიერი ფალავანი აღარ დავგერჩა. ერთი ხანობა იმედს შალვას უმცროსი ძმა მალხაზ მუზიაშვილი გვაძლევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2 წლის წინათ ევროპის პრიზიორი გახდა, საერთოდ ჩაიკარვა.

ძნელი წარმოსადგენია, ულიცენზიოდ დარჩეს გიორგი გოგშელიძე (96), თუმცა ამ წონაშიც ბევრი ტიტულოვანი მეტოქეა უსაგზუროდ, უპირველესად - მისი მთავარი კონკურენტი, რუსი ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის გამარჯვებული შაჯიშიურატ გაცალოვი და აზერბაიჯანელი ევროპისა და მსოფ-

წყალბურთი

ვლახეთის თუ გაღაპლახეთის...

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნების შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა (მესამე იყო დიდი ბრიტანეთი) და 18 საუკეთესო გუნდში დაიბევა ადგილი. კონტინენტის პირველობის დასკვნით ეტაპზე მოსახვედრად რუმინული ბარიერის გადალახვა აუცილებელია. დღეს 18.30 საათიდან საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ სწორედ ქართულ-ვლახურ დაპირისპირებას უმასპინძლებს. ჩვენებს ორი ნატურალიზებული წყალბურთელები არ ეყოლება. მარკო ელეი და მარინო ფრანიჩევიჩი ავადმყოფობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდნენ. სამაგიეროდ, რევაზ ჩომახიძემ მოიშუშა ტრავმა და ქართველი ცენტრალური თავდასხმელის გასანეიტრალებლად სტუმრებს დიდი ჯაფა დაადგებათ. არის ერთი სიახლეც: ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზვიად დავითიანს, რომელსაც უცხოურ კლუბებში გამოსვლის მდიდარი გამოცდილება აქვს, ამჯერად გუნდის მეცამეტე მოთამაშედ ვიხილავთ. მის ნაცვლად კი ნაკრებს სახელოვანი ქართველი წყალბურთელი ვლადიმერ ისელიძე უხელმძღვანელებს. ასე რომ, დღეს მასპინძლები რუმინელებს წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ: ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელანი, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდინი, ბექა ქენქაძე, რევაზ ჩომახიძე, მიხეილ ბალატურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ზვიად დავითიანი, ივან სტრუჩიჩი.

კარბატელები მსოფლიო წყალბურთში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, რასაც მათი შედეგებიც მოწმობს: 1952 წლიდან რუმინელებმა ოლიმპიურ თამაშებში რვაჯერ იასპარეზეს, 1976 წელს მონრეალში მე-4 ადგილი დაიკავეს. მაშინ ფინალურ ჯგუფში ფრედ დაამთავრეს შეხვედრები იუგოსლაველებთან (5:5), პოლანდელებთან (4:4), იტალიელებთან (4:4), დამარცხდნენ ოლიმპიადის მომავალ ჩემპიონ უნგრელებთან (8:9), დაძაბულ ბრძოლაში აღმოსავლეთ გერმანიას სძლიეს (5:3) და, როგორც აღვნიშნეთ, მე-4 ადგილზე გავიდნენ. უნგ-

რელებს გარდა, მათ იტალიელებმა და პოლანდელებმა გაუსწრეს. ვლახებმა მსოფლიოს 9 ჩემპიონატში მოსიწვეეს ძალები (საუკეთესო შედეგი: მე-5 ადგილი 1975 წელს), ოთხჯერ მსოფლიოს ლიგასა და სამჯერ მსოფლიოს თასზე იასპარეზეს. შარშან ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილით დაკმაყოფილდნენ. წლეულს ჩინეთში გამართულ წყალბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინელთა კაპიტანი ალექსანდრ კოსმინ რადუ შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

თუნდაც ამ მწიორი სტატისტიკითაც ნათლად ჩანს, თუ რა ტრადიციებისა და ძალის მეტოქე ყოფილა დღეს საქართველოს ნაკრებს. „ოლიმპიკი“ სტუმრების სპორტულ ღირსებას დაიცავენ: დრაგოს სტონესკუ, კოსმინ რადუ, ტიბორიუ ნეგრინი, ნიკოლაი დიკონუ, ანდრეი იოსეფი, ანდრეი ბუსილა, მიხეა ჩიოვანუ, დიმიტრი კოანტა, რამირო ჯორჯესკუ, ანდრეი ალექსანდრუ გიბანი, კალმან კადარი, ედუარდ მიხაი დრაგუსინი, მთავარი მწვრთნელია იმტვან კოვაჩი.

„ძირითად შემადგენლობაში დანაკლისისა და მრისხანე მეტოქესთან დაპირისპირების მიუხედავად, გუნდში ოპტიმისტური და საბრძოლო განწყობილებაა. ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რომ რუმინული ბარიერი გადავლახოთ და ფინალურ ეტაპზე 12 საუკეთესოს შორის მოვხვედეთ. ეს კი საშუალებას მოგვცემს, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ,“ — გვითხრა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბოთაძემ.

დღეს კიდევ ხუთ ქვეყანაში გაიმართება სააღლიფო პაექრობები. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: მალტა-გერმანია, სლოვაკეთი-საბერძნეთი, თურქეთი-სლოვენია, რუსეთი-ესპანეთი, მაკედონია-საფრანგეთი. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები, გარდა გერმანია-მალტისა (15) 29 ოქტომბერს ჩატარდება.

ვაჟა ღანელია

ჩრივი



ნიკამ პარბასთან უნდა ივარდოს

ორი წლის წინამდინდელში მოკრევეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთაგან მხოლოდ კობა ფხაკაძემ მოიპოვა მედალი — მაშინ მან ზედიზედ ოთხ მეტოქეს (ლიტველ აურიმას ნაუდიუს, რუმინელ გაბრიელ პოდესკას, მაროკოელ კუატინი მაჰმდის, გერმანელ ეუგენ ბერმარდეს) სძლია და ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ დომენიკო ვალენტინოსთან (იტალია) დამარცხდა და მესამე ადგილს დასჯერდა. 2009 წელს კობა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ბაქოს სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე კი 64 კილოში ცდის ძალებს. გუმინ ქართველმა მოკრევემ პირველი ბარიერი გადალახა — იოლად სძლია განელ მიხაელ იოზეფ ამოო ბედიაკოს — 29:5. მეორე წრეში 2 ოქტომბერს მისი მეტოქე იქნება მასპინძელი გეიბათულა გაჯილიევი, რომელმაც პირველ პაექრობაში ეგვიპტელი ესლა ახმედ ალ მოჰამედი დაამარცხა — 15:7.

დღეს აზერბაიჯანის დედაქალაქის რინგზე ორი წონითი კატეგორიის სპორტსმენები გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ნიკოლოზ იზორია (60 კგ) 2008 წლის კონტინენტის პირველობის, ასევე, მეორეადგილოსანს უნგრელ მიკლოშ ვარგას შეხვედბა. მათ შორის გამარჯვებული 3 ოქტომბერს აბდეკადერ ჩადისა (ალჟირი) და იან ჯომ კოლის (მავრიტანია) შორის უძლიერესს დაუპირისპირდება. 75 კილოში წლევიანდელი ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ჯაბა ხოსიტაშვილი ტაილანდელ სურია პრასადინფინალის გაუნევის მეტოქეობას. წარმატების შემთხვევაში, ქართველ მოკრევეს, შესაძლოა, თურქეთის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მასპინძელ ადემ კილიჩთან (2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს და 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი) მარცხისთვის რევანშის შანსი მიეცეს მე-2 წრეში, თუკი კილიჩი სტარტზე გერმანელ შტეფან ჰარტელს აჯობებს.

კვირას, 2 ოქტომბერს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-2 წრის ორთაბრძოლები დაიწყება. ქართველთაგან სევერიან ჭილაძე (52 კგ) წლევიანდელ ევროპის ჩემპიონ ენდროუ სელბის (უელსი) შეხვედბა, კობა ფხაკაძე (64) გეიბათულა გაჯილიევის (აზერბაიჯანი), ზაად კვაჭატაძე (69) — ონდა სიფალს (თურქეთი), ლევან გულედანი (81) — მარკუს ბრაუნს (აშშ), მიხეილ ბახტიძე (+91) — ფილიპ პრეგოვიჩს (ხორვატია).

ვაჟა ღანელია

როგორღე

პირველი ფინალში, სამი ნახევარფინალში

თელავში ჩოგბურთულ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50 000\$) გუშინ ერთეულთა თანრიგში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზიდა მანა ჩახნაშვილი (6). პირველ სეტში მან სლოვაკ იანა გეპელივას 6:4 სძლია. წყვილში ფავორიტად მიჩნეულს თითქოს მეორე ხელის მოგებაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ იგი სტუმარს 3:6 დანებდა, სამაგიეროდ, მესამეში აჩვენა სლოვაკს თავისი ძალა - 6:2 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მე-4 ნომრად განთესილ რუს ალექსანდრა პანოვას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ორ სეტში აჯობა ტურნირის მე-5 ნომერ მიახვალა ბუზარნესკუს (რუმინეთი). სპეციალისტებს ანკვიფრებს 16 წლის მოსკოველი ირინა ხრომაჩევა. გუშინ იგი „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მომგებ ლესია ცურენკოს (უკრაინა, 3) ხვდებოდა.

პირველი ხელი მოსკოველმა 7:5 მოიგო. მეორეში, როცა ანგარიში თანაბარი იყო (1:1), უკრაინელმა ტრავმის გამო შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო. ნახევარფინალში ხრომაჩევა მეტოქეობას გაუწევს ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ალექსანდრა კადანტუსს (რუმინეთი), რომელმაც ამერიკელი ჯულია კოენი დაამარცხა - 2:6, 6:4, 6:4. წყვილებში გუშინ მხოლოდ ერთი ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართა: ეკატერინე გორგოძისა და ანასტასია გრიმალსკას (იტალია) დუეტმა იოლად აჯობა ირინა ბურიჩოკსა (უკრაინა) და რეკა-ლუკა იანის (უნგრეთი) - 6:4, 6:0. დღეს მე-2 ნახევარფინალში თათია მიქაქე და სოფიო შავთავა რუმინელებთან - ელენა პოგდანთან და მიახვალა ბუზარნესკუსთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ვაჟა დანელიძე

შურისძიების დროა

ლსა პეპასში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) ანა ტატიშვილი (89), რომელიც მე-2 ნომრად არის განთესილი, მეორე ნრეში რუსი ვასილი-საბარდინა დაამარცხა - 3:6, 6:0, 6:2. მეოთხედფინალში 21 წლის ქართველს კიდევ ერთი რუსი, რეგინა კულიკოვა (143) ელის. სწორედ ის, ვინც გასულ კვირას ანას დაამარცხებდა ალბუკერკის ტურნირის ფინალში შეძლო (7:5, 6:3). მოკლედ, შურისძიების დროა.

ნიკოლოზ ნაჭვარიძე

ქალთბურთი

ისევ ლელა იყოჩაღა

სლოვენიაში მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გუშინ მეექვსე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქალებში 8-8 ქულით სამი გუნდი მენინაგებდა. მათგან კრასნოტურინსკის ავს-მა ერეენის „მიკა“ 3:1 დაამარცხა; ანტონანტა სტეფანოვა-ელინა დანიელიანი 1:0, ჰარიკა დრონავალი-კატერინა ლახნი 0,5:0,5, ვიქტორი ჩილიტი-ჟუ ჩენი 1:0, ლილით მკრტიჩიანი-ნატალია პოგონინა 0,5:0,5. რუმინეთის „ტიმიშორას“ და მოსკოვის გუნდის შეხვედრა 2,5:1,5 დამთავრდა: ნანა ძაგნიძე-ალექსანდრა კოსტინუკი 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა-ანა ზატონსკიი 0,5:0,5.

ვაჟა დანელიძე

თვის მონაგარი. საქმიანობა

1. კალათბურთი. ევრობასკეტის II ტურის მატჩში საქართველო რუსეთთან 58:66 დამარცხდა.
1. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ქუთაისში 2:7 წააგო ესპანელ თანატოლებთან.
2. ფეხბურთი. საქართველოს ნაკრებმა ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩში შინ ლატვიასთან 0:1 წააგო.
3. კალათბურთი. ევრობასკეტის III ტურში საქართველო სლოვენიასთან 75:87 დამარცხდა.
4. კალათბურთი. ევრობასკეტის IV ტურში საქართველო უკრაინას 69:53 მოუგო.
5. ფეხბურთი. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანელებთან საგარეო მატჩშიც დამარცხდა - 0:2.
5. კალათბურთი. ევრობასკეტის V ტურში საქართველომ 69:79 წააგო ბულგარეთის ნაკრებთან, ჯგუფში III ადგილზე გავიდა და მეორე ეტაპის საგზური მოიპოვა.
6. ფეხბურთი. საქართველოს ნაკრებმა ევრო-2012-ის შესარჩევ მატჩში სტუმრად 1:1 ითანამა მალტის ნაკრებთან.
8. კალათბურთი. ევრობასკეტის II ეტაპის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები მაკედონიასთან 63:66 დამარცხდა.
9. ფეხბურთი. თანამდებობიდან გადადგა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია.
10. კალათბურთი. ევრობასკეტის II ეტაპის მეორე მატჩში საქართველოს ნაკრები ფინეთთან დამარცხდა - 73:87.
12. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მანუჩარ ცხადაია (66 კგ) ვერცხლის მედალი და ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.
13. ფეხბურთი. საქართველოს ნაკრების თავკაცს, თემურ ქეცბაიას 4 წლით (2+2) გაუხანგრძლივეს ხელშეკრულება.

მოამზადა ნიკოლოზ ნაჭვარიძემ

კალათბურთი. ინტერვიუ მარკო ჰეინსთან.



გასილავებით ვაჭი შევიქვით, ვიდრე ევრობასკეტზე ვუჩვენებ

საპარტიმპლუს ნაკრების შემადგენლობაში ევრობასკეტზე ნატურალიზებულმა მარკო ჰეინსმა ითამაშა. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მარკომა ესპანეთის მიაშურა, სადაც „გრან კანარიას“ შეუერთდა. ამ გუნდში იგი საქართველოს ნაკრებში ნათამაშები კიდევ ერთი ამერიკელის, ტორინ გრინის გვერდით ირეგება. ჰეინსი-გრინის დუეტმა სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი უკვე ჩაატარა - ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპზე გერმანიაში „ბროსეს“ 61:56 მოუგო. განმეორებითი შეხვედრა 4 ოქტომბერს იგეგმება და თუ ესპანელებმა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება საშინაო მატჩშიც შეძლეს, ნოემბრიდან ევროთასის ჯგუფურ ტურნირში ითამაშებენ.

საპარტიმპლუს ნაკრების შემადგენლობაში ევრობასკეტზე ნატურალიზებულმა მარკო ჰეინსმა ითამაშა. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მარკომა ესპანეთის მიაშურა, სადაც „გრან კანარიას“ შეუერთდა. ამ გუნდში იგი საქართველოს ნაკრებში ნათამაშები კიდევ ერთი ამერიკელის, ტორინ გრინის გვერდით ირეგება. ჰეინსი-გრინის დუეტმა სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი უკვე ჩაატარა - ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპზე გერმანიაში „ბროსეს“ 61:56 მოუგო. განმეორებითი შეხვედრა 4 ოქტომბერს იგეგმება და თუ ესპანელებმა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება საშინაო მატჩშიც შეძლეს, ნოემბრიდან ევროთასის ჯგუფურ ტურნირში ითამაშებენ.

„შალონიკი“ ხან მსოფლიო ვიყავი, ხან გამთამაშებელი, თუმცა იქ ერთი სეზონი ვაგატარე, მეც კარგად შევეჩვიე და თანაგუნდლებიც. „გრან კანარია“ ორწლიანი კონტრაქტი გაგიფორმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შენთან ბევრს მოელან. - ერთი თვეც არ არის, რაც „კანარიასთან“ ერთად ვვარჯიშობ. ნდობას ვგრძობ და ვცდილობ, გუნდს მაქსიმალურად გამოვადგე. „გრან კანარიიდან“ წასული ვყის ქეროლის პოზიციის შევსება მოგიწევს. მზად ხარ? - არც ისე. ახლავე აგიხსნით, რატომ ვამბობ ასე: საფრანგეთში ჩატარებულ პირველ მატჩში 2 ქულა ჩავაგდე. ქომაცი, ალბათ, იფიქრებდა - ის კალათბურთელი არ არის, ვინც გვეჩივრებოდაო. მაგრამ სეზონის ბოლოს ჩემს გარჯას ყველა პოზიტიურად აფასებდა, საფრანგეთში ძალიან კარგი სეზონი ჩავატარე. შეიძლება თავიდან ესპანეთშიც ვერ გავისარჯო ისე, როგორც შემოძლიდა, მაგრამ, ვფიქრობ, ურიგო სეზონი არ მექნება. ქეროლი დიდი კალათბურთელია, მაგრამ მეც მაქვს დრო კანარულ გულშემატკივარს თავი კარგად დავამახსოვრო.

გერმანიაში ჰეინსმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 26 წუთში 14 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა. ტორინ გრინს შეზღუდული სათამაშო დრო ჰქონდა და შესაბამისად ვერც ვეფექტური სტატისტიკით გამოირჩა: 10 წუთი, 3 ქულა. ესპანური გამოცემა „ლაპორტეცაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ მარკო ჰეინსთან. იგი ლაპარაკობს როგორც „გრან კანარიას“, ასევე საქართველოს ნაკრების შესახებ...

ქართველთა ნაკრები წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული გუნდია. ჩემი დამატებით სათამაშო სტილსა და სტრატეგიაში ვერაფერი შეიცვლიდა, აუცილებელი იყო მხოლოდ გუნდის სისტემასთან მორგება. საშუალოდ 8 ქულას ვაგდებდი. ვფიქრობ, გაცილებით მეტი შემიძლია, თუმცა მწვრთნელთა შტაბისა და გუნდის ინტერესების შესაბამისად ვიქცეოდი. ვფიქრობ, „გრან კანარიაში“ სხვა როლი დამეკისრება.

საქართველოს ნაკრებში თამაშობდი ორ პოზიციაზე. ეს გარკვეულ დისკომფორტს არ გიქმნიდა? - ეს ჩემთვის ახალი ნამდვილად არ არის. სპორტული კარიერის განმავლობაში მითამაშია როგორც გამთამაშებლად, ასევე მსოფლიო საქართველოს ნაკრებთან ერთად ევრობასკეტზე ერთი თვე ვვარჯიშობდი, რაც არ იყო სათანადო დრო ორივე პოზიციაზე მორგებისათვის. ფრანგულ

ვაჟა სიმონიშვილი

სოხუი

განახსნათან დაკავშირებით


გუშინ გავაცანით ევროპელებს „სოხუმის“ შემადგენლობა, რომელშიც მეორე მწვრთნელად დიმიტრი ჟაკობოვი ეწერა. ეს ინფორმაცია ფიზიკურების ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ განაცხადში იყო. დიმიტრი მართლაც „სოხუმში“ მუშაობს, ოღონდ ახალგაზრდულ გუნდში. ხოლო მთავარი მწვრთნელის აინარს ბაგაციოსის თანამემგებ კი მისივე თანამემგებულ, ლატვიელი არნის ვესვავარსია.

ვაჟა სიმონიშვილი

FM 107.9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ ღონედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდაჭერი - ვაზეთი „ლელო“.



სახორციელო ფეხბურთი

ბერკანია. ბანდუსლიგა. VIII ტურის წინ

ბუნდესლიგის მიუნხენი და მიუნხენი ბუნდესლიგის

პოლიტიკის იდეა რაღაცას ეცდებიან, დორტმუნდი 1500-ე მატჩს ჩაატარებს

ბოლო დროს ბუნდესლიგის ტურს პარასკევს ყოველთვის „შტუტგარტი“ ხსენებდნენ. გამონაკლისი არც ეს ტურია: გუნდის მენეჯერმა კაიზერსლავ-ტერნი ითამაშეს. დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესო უდავოდ „ჰოფენჰაიმის“ და „ბაიერნის“ დაპირისპირება იქნება – რეკორდული მატჩითან რაღაცის გახერხებას ახლა „სოფლები“ ეცდებიან. ვიფორიაში მყოფი მიუნხენელები ფრაიბურგში ჩადიან, დორტმუნდის „ბორუსია“ კი იუბილეს „აუგსბურგთან“ საშინაო შეხვედრაში იზიენება. ტრადიციით იმ მხრივაც არ ირღვევა, რომ ტურის ცენტრალური მატჩი ისევ კვირასაა: „შალკე“ შამბურგში ჰუბს სტევენსთან ერთად ჩადის.

გუნდები

კაიზერსლავ-შტუტგარტი 0:2

დღეს

ბორუსია (დ) - აუგსბურგი 17:30
 ტრავმა: კოხი, კოილია, ბაკალიკი - ვერუმი, ბა, მ. ნიემენი, ს. პიი, იორანი

ლეიპციგნი-როსტოკი 17:30
 დისკვალიფიკაცია: შულლე - შიტცი, კირიაკოსი
 ტრავმა: ადლერი, ოჩიკა, ბანტევა, ორტიგა - კრისი, შიტცლშპერგერი, პლეგი, კაუნენგერი

ნიურნბერგი-მაინი 17:30
 ტრავმა: რაკოვეკი, რ. შუფერი, ნილსონი, დიდავი, აიგლერი - შიონბაიმი, სალაი

ფრაიბურგი-ბორუსია (მ) 17:30
 ტრავმა: ფერატი, კრმასი, როზენტალი, რაიზინგერი - ლეიკი

აუგსბურგი-ბაიერნი 17:30
 ტრავმა: გულდ, იასლე, ჯონსონი (სამივე პოზიციისაში)
 შენიშვნა: „ბაიერნის“ მცველი ბრენნი ნინანსარი პატიმრობაშია

პარტა-კიოლნი 20:30
 დისკვალიფიკაცია: ლელი, რამოსი - ბრეიკი
 ტრავმა: ნოინანი, შულცი - ვერონელდი, პეტტიტი

სეაქ

ჰანოვერი-პარტა 17:30
 დისკვალიფიკაცია: სოპიები - ვიზე
 ტრავმა: ანდრესანი, კარლიტოსი, იაკონანი - ბონინი, სილვესტრი, ბროსესკი, ილდერიმი

აინტრახტი-შალკე 19:30
 დისკვალიფიკაცია: ილიჩევიჩი (პამბურგი)
 ტრავმა: მანსიენი, შტეპანევი, არსლანი, კაჩარი - ესკუდერი, შუგლინი, უჩიდა, ყენია

მ	ფ	ფ	ფ	ბ	ქ
1. ბაიერნი	7	6	0	1	21-1 18
2. შტუტგარტი	7	5	1	1	14-7 16
3. ბორუსია (მ)	7	5	1	1	9-3 16
4. შტუტგარტი	8	4	1	3	12-6 13
5. ჰოფენჰაიმი	7	4	0	3	12-7 12
6. შალკე	7	4	0	3	15-12 12
7. პანოვიერი	7	3	3	1	8-8 12
8. ბორუსია (დ)	7	3	1	3	9-7 10
9. ნიურნბერგი	7	3	1	3	6-7 10
10. კიოლნი	7	3	1	3	13-15 10
11. ლეიპციგნი	7	3	1	3	7-10 10
12. პარტა	7	2	3	2	9-9 9
13. ოფსბურგი	7	3	0	4	8-12 9
14. მაინი	7	2	1	4	9-15 7
15. კაიზერსლავი	8	1	2	5	5-12 5
16. აუგსბურგი	7	0	4	3	6-12 4
17. ფრაიბურგი	7	1	1	5	12-22 4
18. ნიურნბერგი	7	1	1	5	8-18 4

ბოშარდირები: 8 - გომესი (ბაიერნი); 6 - სიხე (ფრაიბურგი); 5 - შუნტელარი (შალკე); 3 - პისარო (ვერდერი); 4 - ბაბელი (ჰოფენჰაიმი); 3 - პარნიკი (შტუტგარტი); 2 - პოდოლსკი (კიოლნი); რაული (შალკე); რობერტო ფინიო (ჰოფენჰაიმი).

მატჩებს „ჰოფე“ იმას, რაც ახაროს და ხოვანიამ ვერ შეძლებს?

რაც არ უნდა დიხანს იქნებოდა, „ბაიერნი“ ამ დღეებში სისუსტეებს ვერ უპოვით. რეკორდული მატჩები საეჭივებით იდეალურად მისდის, რაც ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურშიც დამტკიცდა, როცა მიუნხენელებმა „მანჩესტერ სიტის“ 2:0 მოუგეს და რაც იქნა ჩანს, რომ ბავარიელებს ლაზარეთში არც ერთი ფეხბურთელი აღარ ჰყავთ. **მარიო გომესი** მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, **ფრანკ რიბერი** თავის ფლანგზე დაფრინავს, მეკარე **მანუელ ნოიერი** უმეტესად უსაქმოდაა, **ბასტიან შვაინშტიგერი** შეტევებს ისე კარგად ხელმძღვანელობს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების იერიშებს ხელმძღვანელობდა და ასე განსაჯეთ, გამოჯანმრთლებული **არიენ რობენი** სათადარიგოთა სკამზე ვის ხოლმე შესაბამისად, კითხვა „ვინ შეაჩერებს ბაიერნს?“ ჯერჯერობით ისევ პასუხგეგმეული რჩება. იმას, რაც **აგუერო**, **სილვამ**, **ჟეკომ** და სხვებმა ვერ მოახერხეს, ახლა ჰოფენჰაიმელები ეცდებიან. „სოფლები“ ნინა ტურში კიოლნთან დამარცხდნენ (0:2) და აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ჰოფენჰაიმს“ „ბაიერნი“ აქამდე არასდროს დაუმარცხებია.

ფრაიბურგი, გლადახა და 22

მოკლედ, მიუნხენი ყველა ბუნდესლიგის და დაახლოებით ასეთივე სიტუაციაში მიმდინარეობს. მართალია, „ბორუსია“ ისე ვერ დაფრინავს, როგორც „ბაიერნი“, მაგრამ როგორც დაფრინავს, „გლადახისთვის“ ესეც ბუნდესლიგის საბაბი – **ლუსინ ფაფის** გუნდმა ბოლო 35 წელიწადში საუკეთესო სტარტი აიღო. შარშანელი სეზონის მიბმით, როცა „გლადახი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, ძლივს გადაურჩა, „ბორუსიას“ ბოლო თერთმეტი მატჩიდან ექვსი 1:0 აქვს მოგებული. ბოლოს კი ასეთი ანგარიშით სულაც ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა. „გლადახს“ 7 ტურის შემდეგ 16 ქულა აქვს. შედარებისთვის, გასულ სეზონში მიუნხენელებს ამდენი ქულის მოსაპოვებლად 22 ტური დასჭირდა. ზოგადად, 22-ე მატჩში ჯადოსნური ციფრია: „ფრაიბურგს“ განუღობდნენ შეიქმნება სწორედ ამდენი გოლი აქვს გამგებული. ასეთი ცუდი შედეგი კი ბუნდესლიგაში გუნდს მე-7 ტურის შემდეგ

ბოლოს 1996/1997 წლების სეზონში ჰქონდა და აბა, გამოიყენებ, რომელს? დიხანს, „ფრაიბურგს“! ...და იმ სეზონში ბრაისგაუგებლები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდნენ. „ფრაიბურგის“ დარად, ზედიზედ სამი თამაში აქვს წაგებული „მაინცსაც“, ნინა ტურში კი **თომას ტუნელის** ბიჭები „დორტმუნდთან“ დამარცხდნენ (1:2). ალანინიშავია, რომ მაინცტელებმა სამივე შეხვედრა უიღბლოდ წააგეს: „ბორუსიას“ 1:0-ს უგებდნენ და ბოლო გოლი საფინანსო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე გაუშვეს, „შალკესთან“ 2:0-ს იგებდნენ და 2:4 დამარცხდნენ, „კაიზერსლავ-ტურთან“ კი სულაც ავტოგოლით წააგეს (1:3). ამ ყველაფრის შედეგად, „მაინცი“ უკვე მე-14 ადგილზეა და სასწრაფოდ ქულები სჭირდება. ტუნელი ამბობს, საჭირო ქულები ქვედა სამეულთან დუნდებში მაინც უნდა ავილოთო, მაგრამ კარნაველურა დღევანდელი მეტოქე ქვედა სამეულიდან არაა: „ნიურნბერგში“ ამ სეზონში საკმაოდ კარგად გამოიყურება, 10 ქულით მე-9 ადგილზეა და თამაშის ხარისხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **დიტერ ჰეინიხის** გუნდს აშკარად მეტი შეუძლია. „მაინცი“ თავდასხმეული **ალაგუი** უზრუნველბა, „ნიურნბერგს“ კი სავარაუდოდ ყოფილი მაინცელი **ფოილნერი** არ ეყოლება.

დორტმუნდის საიბილაო

მარსელმოვლილი (0:3) დორტმუნდელი დღეს ბუნდესლიგაში მათთვის საიუბილეო, 1500-ე შეხვედრას ატარებენ და **იურგენ კლოპის** გუნდს მეტოქეც ისეთი ჰყავს, „ვესტფალენშტადიონზე“ 3 ქულიც დატოვებდა რომ არ უნდა გაუჭირდეს – დებოუსანიტი „აუგსბურგში“, რომელსაც ამ სეზონში ერთი თამაშიც არ აქვს მოგებული. მიუხედავად ამისა, **იოს ლუჰუკაის** გუნდზე აუგს მაინც ვერ ვიტყვით, რადგან აუგსბურგელებმა შეიქმნა მატჩიდან ოთხი ფრედ დასწრულეს და სწორ გზას ადგანან. განსაკუთრებით დასაფასებელია 2:2 ბერლინი და 0:0 შანოვერთან. დორტმუნდელებზე კი უნდა ითქვას, რომ მარსელში განცდილი უიღბლო კრახის შემდეგ, ფსიქოლოგიკად გადაღობები არიან. „აუგსბურგთან“ საშინაო შეხვედრაში გერმანიის ჩემპიონი ვალდებულა, გაიმარჯვოს, რაც კლოპის გუნდისთვის ამ შემთხვევაში ნუნეს ნიშნავს. საშინაოდ, ჩემპიონთა ლიგა „ლევერკუზენისთვის“ თერაპია იყო. „კიოლნთან“ (1:4) და „ბაიერნთან“ (0:3) უიმედო წაგებების შემდეგ, გერმანიის ვიცი-ჩემპიონმა „გეკი“ 2:0 დამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრამცევეტებმა“ ცოტა-

თი ამოისუნთქეს და „ვოლფსბურგთან“ საშინაო მატჩში ცოტა უფრო თავდაჯერებულები უნდა იყვნენ. ალანინიშავია, რომ **ანდრე შიურლესა** და **სოტიროს კირიაკოსის** დუელი არ შედეგება, რადგან ორივე დისკვალიფიცირებულია.

ჰოლოდსაი: არ უნდა მოვლენო!

„ვერდერთან“ ბოლო წუთზე გამგებული გოლით წაგებამ (1:2), „შტუტგარტი“ ყველა დანაღვლიანა. თანაც, ბერლინელთა დამრიგებელი **მარკუს ბაბელი** დღეს, „კიოლნთან“ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულ **კრისტიან ლელს** და **ადრიან რამოსს** ვერ გამოიყენებს. „თხეუბი“ ძალიან კარგ ფორმაში არიან, რაშიც ლომის წვლილი **ლუკას პოდოლსკის** მიუძღვის, რომელიც აცხადებს: „კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდე. მოდუნება არ შეიძლება!“

ვეროპის ლიგაში „გორკსლასთან“ მოგებული თამაშის (2:1) შემდეგ, „ჰანოვერს“ ხვალ, „ვერდერთან“ ჩრდილოეთის დუელი ელის. „ჰანოვერის“ თავკაცი **მირკო სლომკა** ნინა ტურში, „აუგსბურგთან“ უგოლო ფრთე უკმაყოფილო დარჩა – თუ საუკეთესო ექსეულში მოხვედრა გვინდა, ასეთი თამაშები აუცილებლად უნდა მოვიყოთ ხოლმეო. „ნიილეს“ საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფი „ვერდერთან“ ნარმატების მიღწევა წესით უნდა გაუჭირდეთ. ბრემენელთა რიგებში **კლაუდიო პისარო** ბრწყინავს, რომლის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე ხუთი გოლია.

შალკე სტაპენსი, რომელიც ჰამბურგსაც უნდობა

ჰუბს სტევენის „შალკეს“ მთავარ მწვრთნელად დანიშნებას საკმაოდ საინტერესო ნინანისტორია ჰქონდა: გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტის დანიშვნა ჰამბურგელებსაც უნდოდათ და მასთან მოლაპარაკებები მას მერე შეწყვიტეს, რაც გაიგეს, რომ სტევენის „შალკესაც“ ელაპარაკებოდა. ამრიგად, „შალკეს“ ახალი დამრიგებელი უკვე ჰყავს, ჰამბურგელები კი ძებნას აგრძელებენ და სანამ იპოვიან, ჩრდილოგერმანულ კლუბს, კიდევ ერთხელ, **როდოლფო ესტეან კარდოსო** განვრთნის. სტევენისის ოფიციალური დებოუტი ხუთშაბათს, ვეროპის ლიგაში შედგა, სადაც ჰუბის „შალკემ“ ჰაიფას „მაქაბი“ 3:1 დამარცხა.

გერმანიის ჩემპიონი



გერმანიის ჩემპიონი

მიუნხენელებმა იმისა, რომ გერმანიის ნაკრებს ვეროპის 2012 წლის ჩემპიონატზე თამაში უკვე გარანტირებული აქვს, ბუნდესლიგის მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** შესარჩევი ციკლის დარჩენილ, სატურნირო თვალსაზრისით უსარგებლო მატჩებში (7 ოქტომბერს სტამბულში თურქეთთან, 11 ოქტომბერს დიუსელდორფში ბელგიასთან) ექსპერიმენტებზე უარს ამბობს. გუნდში იოგემ ამ შეხვედრებისთვის გამოთახებული ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა – გერმანიის ნაკრებში **მარიო გომესი**, **სამი ხედირა** და **დენის აოგო** დაბრუნდნენ.

მთავარად, მთავარად, მიღწეული მიზანი – ლიოვის თამაშად შეეძლო, ხსენებულ მატჩებში ახალგაზრდები გამოეცადა, მაგრამ: „ვეროპის ჩემპიონატის საგზოში კი მხოლოდ ერთ, მაგრამ დარჩენილ მატჩებში მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ. ჩვენი მიზანი ისაა, რომ შესარჩევი ციკლი ასპროცენტინი მარჯვედლოთ, 10 მოგებით დავამთავროთ,“ – აცხადებს ლიოვი.

როისი: მცალკეობა ახსოვს

მაქსიმალური კონცენტრაცია და უძლიერესი შემადგენლობა – ლიოვი ექსპერიმენტებზე უარს ამბობს. 24-კაციან სიაში ყველა ნაშვანი მითამაშებ მოხვდა, მათ შორის, გომესი, ხედირა და აოგო, რომლებიც სექტემბრის მატჩების დროს ტრავმირებული იყვნენ. დებოუტის კიდევ ერთი, რიგით მესამე შანსი მიეცემა მიუნხენელების „ბორუსიას“ ახალგაზრდა ვარაუდობ **მარკო როსის**, რომელიც ნინა გამოთახებებს ყოველთვის ტრავმირებული იმედოვნებს, რომ ახლა ტრავმას აღარ მიიღებს და თურქეთთან შეხვედრაში მოედანზე გასვლა შეეძლება.

ლიოვმა უარი თქვა დორტმუნდის „ბორუსიას“ მარცხენა მცველ **მარსელ შმელცერსა** და საყრდენ ნახევარმცველ **სვენ ბუნდერზე**, გერმანიის ნაკრებში გამოთახებული მითამაშების სია კი ასე გამოიყურება:

- მეკარეები:** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), ტიმი ზიხე (ვერდერი), რომ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი).
- მცველები:** ჟერომ ბოატენგი, პოდოლსკი (ორივე რეალი), ტინი კროოსი, თომას მულერი, ბასტიან შვაინშტიგერი (სამივე ბაიერნი), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი), მარკო როსი (ბორუსია მ), სიმონ როლფი, ანდრე შიურლე (ორივე ლევერკუზენი).
- თავდასხმელები:** მარიო გომესი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (ლაციო), კაპუ (შტუტგარტი).



დღესდღეობით ყველაზე კარგ ხასიათზე მიუნხენსა და მიუნხენელებს ბაიერნი

გვირგილი მოსაზარდა
გოტფრიდ ლენცა

ლიგა 1. IX ტური

საინფორმაციო კვირა დღე

და იბავი მოსიარულე მკვლევარები

დღეს	
კანი-ნიცა	21:00
დინამო-აიარ	21:00
ლორინ-ვალანტიანი	21:00
ნანსი-პეიანი	21:00
სტ. პეტრო-ოსიანი	21:00
სოლო-ტოლო	21:00
გორდო-მონაქი	23:00
საშუალო	
ლილი-რანი	19:00
მარსალი-ბრასი	19:00
პს-ლილი	23:00

ტ	მ	შ	გ	ბ	ქ
1. პს	8	5	2	1	14-7 17
2. ლილი	8	5	2	1	14-7 17
3. ტოლო	8	5	2	1	12-7 17
4. მონაქი	8	5	1	2	15-9 16
5. რანი	8	4	3	1	18-12 15
6. ლილი	8	3	4	1	13-10 13
7. ლორინ	8	3	4	1	10-7 13
8. პანი	8	4	1	3	12-10 13
9. ოსიანი	8	2	5	1	14-10 11
10. დინამო	8	3	1	4	7-14 10
11. სტ. პეტრო	8	2	3	3	7-11 9
12. სოლო	8	2	3	3	13-19 9
13. მარსალი	8	1	4	3	9-11 7
14. გორდო	8	1	4	3	9-12 7
15. პეიანი	8	1	4	3	8-12 7
16. ვალანტიანი	8	1	3	4	9-10 6
17. ნიცა	8	1	3	4	7-9 6
18. ბრასი	8	0	6	2	6-8 6
19. აიარ	8	1	3	4	8-16 6
20. ნანსი	8	0	4	4	5-9 4

დღეს საფეხბურთო კლუბი "ბორდო" 130 წლის გახდა. ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჟირონდელები მინ ლიგა 1-ის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ გამორჩეულ კლუბ "მონპელიე" მასპინძლობენ და ბუნებრივია, გამარჯვება აქედან დაგეგმილი. ადრეც აღვნიშნავდნავ და ვაგიმეორებთ, რომ "ბორდომ" საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლო 19 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი სტარტი აიღო. **ფრანსის ჟიოს** შევირდები ამჟამად 8 ტურში ერთადერთი მოგებითა და 4 ფრით მე-14 ადგილზე არიან. რაც ყველაზე მოულოდნელია, გუნდი საშინაო არენაზე ალბულები ქულებით შედგენილ ცხრილში მე-19 ადგილზეა. კარგია, რომ გუნდის თავკაცს ნელს პირველად მიეცემა ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანის საშუალება, რაც ნიშნავს, რომ სასტარტო შემადგენლობას უბრუნდება გამოცდილი **მარკ პლანიუ**. უიო, ბუნებრივია, ორი თავდამსხმელი აპირებს სათამაშოდ გამოსვლას. მისი თქმით, ერთი თავდამსხმელით ასპარეზობა მთლიანად ეწინააღმდეგება მისეულ საფეხბურთო ფილოსოფიას. "ბორდოს" 20 წლის თავდამსხმელ **ანრი საივეს** მიაჩნია, რომ მის



ხაიერ პასტორე

გუნდს მოგების იქით გზა არც აქვს დარჩენილი: "გამარჯვება მნიშვნელოვანია, თანაც ნებისმიერ ფასად. მერე რა, რომ "მონპელიე" წინა ტურში მინ პარი სენ ჟერმენთან" განადგურდა? ის მინც ძალიან ძლიერ გუნდად რჩება. ჩვენ შევხვდით მათ სეზონის წინა მოსამზადებელ ეტაპზე და 3:1 დავამარცხეთ, მაგრამ არც ეს არის არგუმენტი, რადგან ვიცით, რომ ფიზიკურად ისინი ძალიან ძლიერები არიან. რთული შეხვედრა გველის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მინ თამაში გვიჭირს. თუმცა ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები ჩვენთვის უნდა ვეძიოთ და ეს თამაში მოვიგოთ".

მიუხედავად "პარკ დე პრენსზე" განადგურებისა, "მონპელიე" მორიგი ტურისთვის თავანული ემზადება, რადგან **რენე ჟირარმა** თავისი ფეხბურთელები დაარწმუნა, რომ შარშანდელის შემდეგ მათ არნახული პროგრესი განიცადეს და თუნდაც ერთი მწარე მარცხი არაფერს ნიშნავს. ძნელია, ჟირარს არ დაეთანხმო, რადგან გუნდი, რომელიც გასულ სეზონში გაეარდნას ძლივს გადაურჩა და 38 შეხვედრაში სულ 32 გოლი გაიტანა, ნელს "რენის" შემდეგ ლიგა 1-ის საუკეთესო თავდასხმით იწონებს თავს. აი, რას აცხადებს "მონპელიეს" დამასხურებელი ვეტერანი, 35 წლის **სირილ ჟონე-შამი**: "ჩვენ გვყავს ახალგაზრდა, უნიჭიერესი ფეხბურთელები და ვალდებულნი ვართ, გვეჯეროდეს მათი. რაც აუცილებლად უნდა ვისწავლოთ, ესაა გადაწყვეტილი მონტეში მეთი მიზანი-მართულობა და დაუნდობლობა, რაც ასე გვაკლდა პარიზელებთან".

ლიგა 1-ის მატჩები, რომლებიც უმთავრეს ინტერესს იწვევს, კვირას გაიმართება. ჩემპიონი "ლილი" უმასპინძლებს გუნდს, რომელიც მიმდინარე სეზონში ყველაზე საინტერესო გუნდად სახელდება. რა თქმა უნდა, ლაპარაკი "რენზე" გვაქვს. და რაც მთავარია, კვირასვე გაიმართება პირველ-მეორე ადგილოსნების 3:3-სა და "ლიონის" შეხვედრა. ჩვენი დროით ეს მატჩი საღამოს 23:00-ზე დაიწყება.

შარშან "რენის" ყოფილმა თავდამსხმელმა **მუსა სოგმა** ბრიტანულ გუნდს 4 გოლი გაუტანა. სენეგალელი ამჟამად არც ნელს იტყვის უარს. საბრძოლო განწყობაზე ასევე დიდებულ ფორმაში მყოფი **მიკელ ლანდროც**, ვინც წლევეანდელსა და შარშანდელ სეზონებს შორის პარალელს ავლებს, ჩვენი ახლანდელი სათამაშო გრაფიკი ძალიან მაგონებს შარშანდელს, როცა ევროპის ლიგის გამო საფრანგეთის ჩემპიონატში მთელი ძალით ვერ ვთამაშობდითო. და მართლაც, თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, "ძალღებ" შარშან 8 ტურის შემდეგ 14

ქულა ჰქონდათ, ნელს კი 13 აქვთ. ამ პერიოდისთვის გუნდს გასულ წელსაც ბევრი ფრე ჰქონდა (5) და ახლაც ასეა (4). იმედიანადაა განწყობილი **ლუდოვიკ ობრანიაკი**. აი, რას ამბობს ის: "სეზონი ნორმალურად დაიწყო და აგერ უკვე მატჩია (3 მოგება და 3 ფრე), არ ნავიგია. შეგვეძლო უკეთესადაც გვეთამაშა, მაგრამ... ახლა მინ "რენი" უნდა დავამარცხოთ და ასე "დავიბრუნოთ უკან" ის ქულები, რომლებიც მინ "სოშოსთან" და "ლორინთან" დაკარგეთ. ზოგადად დაცვაში ცუდად ვთამაშობთ და რატომ, ეს ჩვენს თავებს უნდა მოვკითხოთ. დაცვაში თამაში მთელი გუნდის პასუხისმგებლობის საკითხია. თუმცა მესმის, რომ უკანა ხაზი თავიდან იწყება და ახალ ფეხბურთელებს შესაბამაშებლად დრო სჭირდებათ. არ მავინებდა ისიც, რომ ტრავმებმაც გავგანვალა". როცა ობრანიაკი დაცვაში ცუდ თამაშზე ლაპარაკობს, აბსოლუტურად მართალია, "ძალღებს" ნელს ერთი ცუდი თვისება დასჩემდათ, საკუთარ კარში მიღებული ბურთის გარეშე ისინი მატჩს ვერ ამთავრებენ. აღნიშნული უსიამოვნო სერია აგერ უკვე 11 შეხვედრაა, გრძელდება.

როგორც იქნა, მივადექით ტურის უმთავრეს დაპირისპირებას: ხვალ, ჩვენი დროით 23:00-ზე "პარკ დე პრენსი" ლიგა 1-ის მოქმედი ლიდერების "პარი სენ-ჟერმენისა" და "ლიონის" დაპირისპირებას უმასპინძლებს. ცხრილს თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ ამ გუნდებს აბსოლუტურად ყველა მონაცემი ერთნაირი აქვთ. მათ კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო: ევროთასების შეხვედრები ორივემ 2:0 დაამთავრა, ოღონდ "ლიონმა" ზაგრების "დინამოს" მოუგო, ხოლო "პარი სენ-ჟერმენმა" "ბილბაოსთან" ამჟამად ნაგო. საფრანგეთის ჩემპიონატი პარიზელთათვის სხვა სამყაროა. ისინი ამ ტურნირში თავს ჯერ-ჯერობით თავს უფრო დამაჯერებლად გრძობენ. **ანტუან კომპუარე** თავისი ფეხბურთელებით მინც კმაცოფილია, განსაკუთრებით საზაფხულო ახალწვეულებით. **ლაპარაკია კვირს გამეიროსა** და **ხაიერ პასტორეზე**: "მიყვარს ასეთი ხასიათის ფეხბურთელები, ხშირად ისინი განსაკუთრებით ნიჭიერები არიან. ეს ჩემი სამუშაოა. შევძლებ კი ამ ბიჭების მართვას? შევძლებ კი მათთან ერთად რაიმეს მოგებას? აი, ეს არის უმთავრესი საკითხი. თუკი რამეს მოვიგებთ, ეს, რა თქმა უნდა, იმის ნიშანი იქნება, რომ შემძლებია მათთან გამკლავება. ტიტულების მოსაგებად კი საჭირო არიან ფეხბურთელები ტემპერამენტით და ამბიციით. სწორედ ამიტომ, რომ არავის არასდროს მოუგია მოსიარულე მკვდრების წყალობით".

პარი სენ-ჟერმენი

ეროვნული

ბიზნესი



პარი სენ-ჟერმენის ხულიგანმა ფანებმა მეტოქის გულშემატკივარს თავი გაუტყვეს

პარი სენ ჟერმენის ვალი?

ამ დღეებში "პარიზიენმა" დედაქალაქურ კლუბზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავრცელა. ირკვევა, რომ ყატარული ინვესტიციებით გამდიდრებულ კლუბს ვალი აქვს, რაც ცოტა დაუჯერებლად უღერს, მაგრამ ეს ასეა. მოგახსენებთ, **ლორანდოს** დიდი მეცადინეობით "რომადან" კლუბმა **ჟერემი მენეზი** იყიდა. მხარეები დეტალურად შეთანხმდნენ სატრანსფერო თანხის გადახდის გრაფიკზე. როგორც ვრანგმა ურნალისტებმა გაარკვეეს, 35-მა ეს გრაფიკი თვითნებურად დაარღვია და პირველი ტრანში დათქმულ დროს არ გადაიხდა. ამასთან დაკავშირებით, "რომას" ადვოკატი პარიზს უკვე ეწვია და კლუბის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს განუცხადა, თუკი თანხა უახლოეს დღეებში არ იქნება დაფარული, "ჯალოროსი" ფიფას მიმართავს. იტალიელმა ურნალისტებმა კი გაიხსენეს, რომ ანალოგიურად ვითარდებოდა მოვლენები "რომადან" 35-ში **ლუდოვიკ ჟიულის** ტრანსფერის დროსაც.

მოგახსენებთ, ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოს 35 ევროპის ლიგის მატჩის გასამართად ეწვია. საფრანგეთიდან საყვარელი კლუბის მხარდსაჭერად ესპანეთში რამდენიმე ასეული პარიზელი გაემართა. მას მერე, რაც საკუთარი კლუბის უსუსურობით აღმოფიქრდნენ, ჯავრი "სან მამესის" ახლო-მახლო მაღაზიებზე იყარეს და რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი დალენეს, შემდეგ კი ადგილობრივ გულშემატკივრებს დაერივნენ და ერთ-ერთ მათგანს სკამი თავში ჩაარტყესო (იხილეთ ფოტო), - გვამცნობს "ასი". პოლიციამ 9 მათგანი დააპატიმრა. უახლოეს დღეებში მათი სასამართლო პროცესი წარიმართება.

ბრაზილია VS არგენტინა

სანაპრობო სუპერკლასიკო



ბრაზილიის ნაკრები როკას თასის მოგებას ზეიმობს

ბუშინენი გვიან ღამით ბრაზილიის ნაკრებმა არგენტინას უმასპინძლა და ერთი შეხედვით იოლად დაამარცხა. თუმცა ცნობილია, რომ ამ გუნდებს შორის იოლი და გასასიერებელი მატჩები არ არსებობს. ერთადერთი, რაც მატჩს ინტერესს მეტ-ნაკლებად მინც უკარგავდა, იყო შესუსტებული შემადგენლობები. არც ერთ და არც მეორე გუნდს ევროპაში მოთამაშე ლეგიონერები არ ჰყავდა. „მენტაკამპიონების“ შემადგენლობაში საუკეთესოებმა **ლუკასმა** და **ნეიმარმა** პრინციპულ მეტოქეს თითო გოლი გაუტანეს და **მანო მენე-შემს** პირველი სანაკრებო ტიტული მოუტანეს. აღსანიშნავია, რომ სანპაულეული ლუკასისთვის ეს პირველი გოლი იყო ეროვნულ გუნდში. საფეხბურთო ექსპერტებმა, გარდა გოლების ავტორებისა, ბრაზილიელთა შორის განსაკუთრებით გამოიყვან ბოტაფოგოელი მარცხენა მცველი **ბრუნო კორტესი**, ფეხბურთელი, ვისაც "ბურთის ჯადოქართა" რიგებში დებულები ჰქონდა.

მატჩის შემდეგ არგენტინის ნაკრების

თავკაცმა **ალეხანდრო საბელიამ** მეტოქეს დამასხურებელი გამარჯვება მიულოცა: "ბრაზილიამ ალაღად დაიმსახურა ეს მოგება. მართალია, მეორე ტაიმში ცოტა უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ მაინც წავაგეთ. მე უკვე 80-90%-ით ვიცი ჩემი გუნდის მონაზაზი. ასარჩევი დამრჩა მხოლოდ არგენტინის ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები. ჩვენ ყველას შესაძლებლობებს შევფასებთ და შემადგენლობის შესახებ გადაწყვეტილებას ამის შემდეგ ასე მივიღებთ ხოლმე".

მეტოქის დაცვის თამაშით აღფრთოვანებული დარჩა **ნეიმარი**. ის "აბისელესტეს" ქებით დაიღვრა: "არგენტინას დიდებული გუნდი ჰყავს, მონტილია კი ფანტასტიკური ფეხბურთელია, ნამდვილი ვარსკვლავი. რაც შეეხება ლიონელ მესის, მას ვერავინ შეედრება. მისი დრობლივი იმდენად დახვეწილია, რომ ალბათ ვერავინ გაიმეორებს. ასე თამაში ალბათ მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ. მე კი შევეცდები გამეორებ, მაგრამ..."

MLS

დონოვანის სუთასი

"ლოს ანჯელის გალსის" და ამერიკის ნაკრების თავდამსხმელმა **ლენდონ დონოვანმა** კონკაჟის ლიგის შეხვედრაში "მონკარასის" წინააღმდეგ კარიერაში თავისი მესამე შეხვედრა გამართა. ამის შესახებ მას სტატისტიკოსებმა აცნობეს. აი, ამ გუნდების ჩამონათვალი, სადაც ოდესმე ფეხბურთელს უთამაშია: აშშ-ის ეროვნული-და მეორე ნაკრებები, 17, 20 და 23-წლამდელი ნაკრებები, ასევე "ლევერკუზენი", "ბაიერნი", "ვერტონი", "სან ხოსე" და "ლოს ანჯელეს გალსი".



სახორცილო სპორტი

როგორც უკვე ვთქვამდით

მარიოზა შური იძიას

გუშინ ტოკიოს სუპერტურნირზე ფინალისტი გახდებოდა. პოლონელმა ავნიეშკა რადვანსკამ სამსეტის ბრძოლაში დაამარცხა ვიტორია აზარენკა, ვერა ზონარევა კი ორ სეტში მოუგო პეტრა კვიტოვას და თუ ფინალშიც გაიმარჯვებს, რეიტინგის მეორე პოზიციაზე დაბრუნდება.

კვიტოვამ და ზონარევამ, რომლებსაც გუშინდელ მატჩამდე სეტი არ ჰქონდათ წაგებული, წელს უკვე ორჯერ მოასწრეს ერთმანეთი თამაში. ორივე შეხვედრამ იმ ბრძოლაში ჩაიარა: მელბურნის ჰარდზე რუსმა 6:2, 6:4 მო-

რამ 4:0-ზე კვიტოვა ოდნავ მოდუნდა, ტემპს უკუღიარა და ამან რუს ჩოგბურთელს ბრძოლაში ჩაბმის საშუალება მისცა. თანდათან იმატა გრძელი გათამაშებების რიცხვმა, რაც რუს ჩოგბურთელს აძლევდა ხელს. თუმცა ისე ჩანდა, რომ პირველი პარტიის გადარჩენა არ მოხერხდებოდა. ბრიკის გაკეთების შემდეგ ზონარევამ დაძაბულ ბრძოლაში ისევ წააგო თავისი მოწოდება და კვიტოვამ ოთხგვიდიანი უპირატესობა აღადგინა - 5:1. მაგრამ პეტრამ ორჯერ ვერ ჩააწოდა სეტზე, სამი მატჩბოლიც გაანია და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც უკ-

ფინალის მეორე საგზური ვიტორია აზარენკამ და ავნიეშკა რადვანსკამ გაითამაშეს. მათ შორის მატჩები, როგორც ყოველთვის, დაძაბული გამოდის, მაგრამ უფრო ხშირად ბელარუსი ჩოგბურთელი იმარჯვებს - ხუთი ორის წინააღმდეგ. ბელარუსმა წელსაც მოუგო პოლონელს - ინდიან უელსში მესამე წრის მატჩის მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე.

ამ მატჩამდე ბრძოლაში ჩაიარა. აზარენკა თავის სტილში მოქმედებდა - ბევრს უტევდა და შეცდომებსაც უშვებდა ("ვინერსებიც" და უნებლიე შეცდომებიც მეტოქეზე თითქმის 30-ით მეტი ჰქონდა). რადვანსკას თავისი იარაღი აქვს - მან იცის დაცვაში კარგი მოქმედება და ბურთის თამაშში დატოვება. ის კარგად ფლობს კომბინაციურ ჩოგბურთს. რა თქმა უნდა, ამ ასპექტში ბევრად ჩამორჩება კომბინაციური სტილის საუკეთესო მოთამაშეს მარტინა შინკისს, მაგრამ ბევრი გათამაშება მისი შესრულებით მართლაც საინტერესოდ გამოიყურება. მოკლედ, ხან რადვანსკა ახერხებდა თამაშის ტემპის დაგდებას და კომბინაციების მოფიქრებას, ხან აზარენკას გამოსდიოდა ძლიერი მოწოდებები და დარტყმები.

პირველ და მეორე სეტებში აზარენკა სტარტზევე აკეთებდა ბრიკს, მაგრამ შემდეგ რადვანსკა ახერხებდა ანგარიშის გათანაბრებას და წინ გასვლას. თუმცა ეს მხოლოდ პირველ პარტიაში აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის, მეორეში კი ავნიეშკამ ვერ შეინარჩუნა ორგვიმიანი უპირატესობა და 4:2 4:6-ად იქცა. მაგრამ ვიტორიამ გადამწყვეტ პარტიაში წარმატების განვრცობა ვერ მოახერხა. დარტყმებს, რომლებიც მეორე სეტში მიზანში ხვდებოდა, ამჯერად ანბადე ელოებოდა ან აუტში გადადიოდა. საბოლოოდ, რადვანსკამ ორი ბრიკი გააკეთა, რომელთა გაბათილება აზარენკამ ვერ მოახერხა - 6:3, 4:6, 6:2 რადვანსკას სასარგებლოდ.

WTA
TORAY PAN PACIFIC OPEN
ტოკიო (იაპონია). პარდი

1/2 ფინალი
ვერა ზონარევა (რუს, 4)-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5) 7:6(2), 6:0; ავნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9)-ვიტორია აზარენკა (ბლრ, 3) 6:3, 4:6, 6:2.



ავნიეშკა რადვანსკა

გო, მადრიდის გრუნტზე კი ძლიერი ჩეხი აღმოჩნდა - 6:1, 6:4.

ამ ნახევარფინალის დასაწყისში კვიტოვას სერიოზული სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. ჩეხმა ინიციატივა მოიპოვა და ძალიან ძლიერად უტევდა, საერთოდ კი დაახლოებით ისეთ სტილში თამაშობდა, როგორც წლებადეულ ტრიუმფალურ უიმბლდონზე. ზონარევას კი პირველივე გეიმებიდან არ წაუვიდა თამაში და უამრავი შეცდომა დაუშვა. მაგ-

ვე ფსიქოლოგიური უპირატესობა რუსის მხარეს იყო - 7:2.

მეორე სეტის დასაწყისში კვიტოვამ ზედიზედ ორ გეიმში ორმაგი ბრიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ სიზუსტე არ ეყო ამ შანსების გამოსაყენებლად. თანაც ჩეხს მოწოდებაც აღარ ჰქონდა ისეთი ძლიერი, როგორც პირველ სეტში. საბოლოოდ, ზონარევა მეორე სეტში "მშრალი" ანგარიშით მოიგო და საათნახევარში მოიპოვა ფინალის საგზური.

ქალებს ხუთი საზს აკალავენ

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის გენერალურმა დირექტორმა სტივის ალასტერმა განაცხადა, რომ ქალი ჩოგბურთელები მზად არიან "დიდი სლემის" ტურნირებზე ხუთსეტის მატჩების სათამაშოდ. WTA-ის ხელმძღვანელის ამ განცხადების მიუხედავად, გამოითხვა, რომელიც მოთამაშებს შორის ჩატარდა, უმრავლესობამ დღევანდელი სამსეტის სისტემის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი.

ალასტერის სიტყვებით, ხუთსეტის მატჩების ფონზე, რომლებსაც "დიდი სლემზე" მამაკაცები თამაშობენ, ქალების სამსეტის შეხვედრები თანასწორუფლებიანობის შეზღუდვად მოჩანს.

"ჩვენ არ ვიხდით სხვადასხვა ფასს სხმი ან ორსათიანი ფილმის საყურებლად. ქალები ისევე ბევრს ვარჯიშობენ, როგორც მამაკაცები, - ამბობს ალასტერი იაპონური პრესისთვის მიცემულ კომენტარში. - ყოველთვის ვამტიკვებდით, რომ მზად ვართ ხუთსეტის მატჩების სათამაშოდ, მაგრამ "დიდი სლემის" ტურნირების წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ არ სჭირდებათ ჩვენგან ასეთი ინიციატივა".


ამასობაში, უიმბლდონის ორგანიზატორები სერიოზულად დაფიქრდნენ ლონდონის საჩოგბურთო კომპლექსში კიდევ ერთი დახურული კორტის აგებაზე.

შეგახსენებთ, რომ უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავი 2009 წელს დაამონტაჟეს და ამან წელს დიდი სარგებლობა მოუტანა ტურნირს, რადგან ლონდონში იმ პერიოდში ხშირი წვიმები იყო. ინგლისის საჩოგბურთო კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრი ფილიპ ბრუკი აღიარებს, რომ ახალი იდეა "ნომერ პირველ" კორტზე

მოძრავი სახურავის დაშენებაში მდგომარეობს.

წელს ორიათასიანი "ნომერ მესამე" კორტის აშენებით დასრულდა 15-წლიანი განვითარების ციკლი, ასე რომ, კლუბის ხელმძღვანელობა ახლა "ნომერ პირველ" კორტზე სახურავის აგებას აპირებს. ეს პროექტი ინგლისელებს, სავარაუდოდ, ასი მილიონი ფუნტი დაუჯდება.

"წვიმის დროს ეს ძალიან მოსახერხებელი იქნება, რადგან ორ კორტზე შევძლებთ თამაშების ჩატარებას, ეს კი მაყურებელს დამატებით კომფორტს შეუქმნის, - აცხადებს ბრუკი "დეილი მეილისთან" კომენტარში. - ეს პროექტი დიდ თანხებს მოითხოვს, თუმცა ეკონომიკური ფაქტორი ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორც ეს ცენტრალურ კორტზე პირველი სახურავის შემთხვევაში იყო".



ამ კორტსაც სახურავს დაადგამენ

ჰოკეი

ერიკსონი გიგაიტოვას



ერიკსონმა პრალაში მოიგო

საზონი აპროპაში იწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის მორიგი რეგულარული სეზონი (რიგით 95-ე) ზედიზედ მეხუთე წელია ევროპაში ტრადიციული მატჩებით გაიხსნება, რომელსაც NHL Premiere ჰქვია. ამჯერად "ბებერი კონტინენტის" მიმართულებით გაემგზავრნენ "ანაპაიმი დაქსი", "ბაფალო სეიბრზი", "ლოს ანჯელეს კინგზი" და "ნიუ იორკ რენჯერსი". სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უკვე მოასწრო პირველი მატჩის გამართვა - პრალაში ადგილობრივი "სპარტა" 2:0 დაამარცხა. გოლები ნიუიორკელთა მხრიდან ანისიმოვმა და ფელტენკომ გაიტანეს. ამის შემდეგ "რენჯერსი" გიოტე ბორგში შეხვდება "ფრიოლუნდს". "ანაპაიმი" ფინეთის "ოკერიტსა" და გერმანიის "ჰამბურგს", "ბაფალო" - გერმანიის "მანჰაიმს".

უშუალოდ რეგულარული ჩემპიონატის ოფიციალური მატჩები სტოკჰოლმში (ორჯერ), ჰელსინკი და ბერლინში გაიმართება. 7 ოქტომბერს ფინეთის დედაქალაქში ითამაშებენ "ანაპაიმი" და "ბაფალო", იმავე დღეს სტოკჰოლმში "რენჯერსი" და "ლოს ანჯელესი" გაარკვევენ ურთიერთობას. 8 ოქტომბერს ბერლინში კი "ბაფალო" და "ლოს ანჯელესი" შეხვდებიან ერთმანეთს.


ქროსბი რეგულარულს ვერ იწყებს

"ჰიტსპურბ პინგვინსის" კაპიტანმა სიდნი ქროსბიმ იანვარში მიღებული ტვიინის შერყევის შემდეგ პირველად ჩაატარა სრულფასოვანი ვარჯიში - ძალისმიერ ორთაბრძოლებზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

გუნდის მთავარი მწვრთნელის დენ ბაილსმას განცხადებით, ქროსბი გუნდს კანადაში გაყვება, სადაც "ჰიტსპურგის" სეზონის პირველ სამ მატჩს ჩაატარებს. თუმცა ფორვარდი ამ სამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან ექიმები მიიჩნევენ, რომ ქროსბის ჯერ ბოლომდე არ გაუვლია სარეაბილიტაციო კურსი.

სიდნის ტურნეში გამგზავრება იმით არის განპირობებული, რომ კლუბთან ერთად ის ინტენსიურ ვარჯიშებს გამართავს და სწრაფად შეძლებს ფორმაში შესვლას. "პინგვინები" სეზონს "ვანკუვერთან" (6 ოქტომბერი), "კალვარისთან" (8 ოქტომბერი) და "ედმონტონთან" (9 ოქტომბერი) შეხვედრებით ხსნიან.

"ლოს ანჯელეს კინგზმა", როგორც იქნა, მოაგვარა თავისი წამყვანი მცველის დრიუ დაუტის გაფორმების საკითხი. ხელშეკრულება ჯერ არ არის გაფორმებული, მაგრამ მხარეებმა რეგულიარ კონტრაქტზე მიიღეს შეთანხმება. დაუტის წლიური ხელფასი შეიღობა მილიონი დოლარი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუტიმ მაინც გაიტანა თავისი და ახლა, "მეფეების" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტი გახდა. მან ეს სტატუსი სლოვენელ ლეგიონერ ანჟე კოპიტარს ჩამოართვა.



ქროსბი კარგ ხასიათზეა

ქალთა საჩოგბურთო

ნუსტი მალაზიაში დასაქმდა

სტანდარტულ ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი დედონტე უესტი კომპანია Regency Furniture-ის ავეჯის მალაზიაში მოენყო სამუშაოდ. თავისი გადამყვებილება მცველმა ლოკაუტის დასრულებამდე საარსებო წყაროს მონახვით ახსნა.

სამუშაოზე განცხადების შეტანისას უესტმა აღიარა, რომ ბრალი ედგობდა დანაშაულში, რომელსაც მან გაუგებრობა უწოდა. ორი წლის წინ დედონტე ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალით დააკავს, რომელიც რეგისტრირებული არ იყო.

ქალთა საჩოგბურთო

რეაქორდი მანჭატანის გარეშე

36 წლის ავსტრალიელმა ოლივერ უილკინსონმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა - უნძულ მანჭატანის გარეშე მანჭატანი ცურვით ხუთ საათში, 44 წუთსა და 2 წამში დაფარა.

დისტანციის სიგრძე 45,9 კილომეტრი გახლდათ. სხვათა შორის, წინა რეკორდი ასევე ავსტრალიელს ეკუთვნოდა: 1995 წელს შელი ტელიორ-სმიტმა მანჭატანს გარეშე 5 საათში, 45 წუთსა და 25 წამში შემოუარა.

გვერდი მოამზადა
გია თხალაბაიშვილი

კალათბურთი

კობი იბრაიმი დათანხმდა



კობი იბრაიმი იტალიაში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი კობი იბრაიმი ახალ სეზონს იტალიური კლუბის - ბოლონიას "ვირტუსის" შემადგენლობაში დაიწყებს.

ში ლოკაუტი არ დასრულდება, ამის შემდეგ კი მცველი კალიფორნიაში დაბრუნდება. ჯერჯერობით კალათბურთელმა და "ვირტუსმა" ზეპირ შეთანხმებას მიაღწიეს - კონტრაქტი 40-დღიანი იქნება.

ამ დროის განმავლობაში ბრაიანტი სამ მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ჯერჯერობით არ ზუსტდება - გააგრძელებენ თუ არა კონტრაქტს იმ შემთხვევაში, თუ 40 დღის ვასელის შემდეგ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი დასრულებული არ იქნება.

იტალიის ჩემპიონატი "ვირტუსისთვის" 9 ოქტომბერს უნდა დაიწყებულიყო, მაგრამ კალენდარი შეიცვლება, რადგან პირველობა 17-გუნდიანი გახდა - საუკეთესო დივიზიონს "ვენეცია" დაემატა. თანაც იტალიის ლიგის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ სეზონის პირველ თვეს "ვირტუსს", შესაძლოა, 7-8 თამაშის ჩატარებამ მოუწიოს, რათა უფრო ბევრმა გულშემატკივარმა იხილოს კობი საქემუი. ბრაიანტის კონტრაქტი სწორედ ჩემპიონატის დაწყებისთანავე ამოქმედდება.

ბავშვობაში (ექვსიდან 13 წლამდე) ბრაიანტი მამამისთან - ჯოსთან ერთად ცხოვრობდა იტალიაში. უფროსი ბრაიანტი რამდენიმე იტალიურ გუნდში თამაშობდა. კობის კონტრაქტი "ლოს ანჯელეს ლიკერსთან" კიდევ სამი წელი იქნება ძალაში და ამ დროის განმავლობაში კალიფორნიელი 83.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

პროფესიული კრივი

26-წლიანი სიხის შედეგად რინგზე

ამერიკელ მოკრივეს დიუი ბოზელას, რომელმაც 26 წელი ციხეში გაატარა, სულ მალე დებიუტი ექნება პროფესიულ რინგზე. 52 წლის ბოზელა 15 დეკემბერს ლოს ანჯელესში გამართავს ბრძოლას. ასაკისა და მცირე გამოცდილების გამო, ამერიკელს რამდენიმე ტესტის ჩატარება დასჭირდება. 29 სექტემბერს მოკრივეს ლიტენიზა მისცა კალიფორნიის შტატის ათლეტიკურმა კომისიამ.

ბრძოლა ბოზელას მონანილეობით საკრივო შოუს ერთ-ერთი ნაწილი იქნება. იმ საღამოს მთავარი შეხვედრა გახლავთ 79.4-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის, ამერიკელი ბერნარდ ჰოპკინსისა და მის თანამემამულეს ჩედ დოუსონს შორის დაპირისპირება.


ბოზელა ბრძოლას 90.9-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამართავს.

ჯერჯერობით 52 წლის მოკრივის მეტოქე გარკვეული არ არის.

ახალგაზრდობაში ბოზელა მოყვარული მოკრივე იყო. 1983 წელს ის დამანავედ სცენა 92 წლის ქალის მკვლელობაში. მოკრივე დიდი ხანი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ განაჩენი შეცდომით იყო გამოტანილი და მხოლოდ 2009 წელს მოახერხა ეს, რის შემდეგაც ბოზელა საპრობილეოდ გამოუშვეს.

როგორც გამოცემა USA Today წერს, სინგ-სინგის ციხეში ყოფნისას ბოზელა ჩემპიონი გახდა პატიმრებს შორის, თანაც მას არც ერთი ბრძოლა არ წაუგია 26 წლის განმავლობაში. ციხეში ბოზელამ უმაღლესი განათლებაც მიიღო და როგორც ამბობენ, სამაგალითო პატიმარი იყო.

გვერდითა მხარეს გია თვალაკიძე



დიუი ბოზელა

TV პროგრამა

1 ოქტომბერი, შაბათი

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 10:00 გერმანიის ჩემპიონატი, 12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი).

GMG-სპორტი 1

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 10:00 ჩოგბურთი, ATP-ის ტური).

GMG-სპორტი 2

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 09:45 ჩოგბურთი, ATP-ის ტური).

I არხი

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 06:30 რაგბი, მსოფლიოს თასი).

HTB-პლუსი (ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 19:55 იტალიის ჩემპიონატი).

HTB-პლუსი (ონლაინ)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 08:00 ჩოგბურთი, WTA-ის ტური).

HTB-პლუსი (ჩვენი ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 13:40 რუსეთის ჩემპიონატი).

HTB-პლუსი (ჩვენი ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 10:00 ATP-ის ტური).

HTB-პლუსი (სპორტი)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 15:10 ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი).

2 ოქტომბერი, კვირა

GMG-ფანჯარა

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 10:00 იტალიის ჩემპიონატი).

GMG-სპორტი 1

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 10:00 ფეხბურთი, ბრაზილიის ჩემპიონატი).

GMG-სპორტი 2

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 10:00 ფეხბურთი, გერმანიის ჩემპიონატი).

I არხი

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 11:25 რაგბი, მსოფლიოს თასი).

HTB-პლუსი (ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 14:25 იტალიის ჩემპიონატი).

HTB-პლუსი (სპორტი)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 16:25 ფეხბურთი, პოლანდის ჩემპიონატი).

HTB-პლუსი (ონლაინ)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 13:55 ფეხბურთი, ესპანეთის ჩემპიონატი).

HTB-პლუსი (ჩვენი ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 13:40 რუსეთის ჩემპიონატი).

HTB-პლუსი (ჩვენი ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 12:00 ATP-ის ტური).

HTB-პლუსი (ჩვენი ფანჯარა)

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 20:55 გერმანიის ჩემპიონატი).

SPORT+

Table with 2 columns: Time and Event (e.g., 16:00 ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი).

სხელიხაზი

Table with 2 columns: Event and Score (e.g., მსოფლიო ჩემპიონატი, ნიკოლა პიტირცუნი).

Table with 2 columns: Event and Score (e.g., II ლიგა, მსოფლიო ჩემპიონატი).

ფორმულა 1



ფეტელი და მისი ბოლიდი უნიკალურია

ფეხბურთის დომინირების შვილი მიზეზი

წელს, ფორმულა 1-ის ეტაპების უმრავლესობა ერთნაირი სცენარით მიმდინარეობს: სებასტიან ფეტელი პოლიდან იღებს სტარტს და იგებს რბოლას...

მოგების შემდეგ ის უფრო გაიხსნა და უფრო დამაჯერებლად იგრძნო თავი. როცა ტიტულს მოიგებ, უკვე აღარ გრძნობ ძლიერ დაძაბულობას...

ბურავების ცვეთის გამო და ვერაფრით მოარგო თავისი სარბოლო სტილი ახალ ტექნიკურ პირობებს...

სიჩქარა

სებასტიან ფეტელი უფრო მეტად მიიჩნევა შესანიშნავი სისწრაფე. გერმანელს შეუძლია სწრაფად იაროს ცარიელი ახ სავსე სანგავის ავზით...

გუნდის მხარდაჭერა

პილოტების სულიერი კომფორტი ხშირად უკავშირდება გუნდთან ურთიერთობას. და დღეს სებასტიანს ამ მხრივ სრული იდილია აქვს...

მისი გამო, რომ ფორმულა 1-ში მჭატიანი ფსიქოლოგები არ არიან, ხოლო ოჯახები ყოველთვის არ ესწრებიან ეტაპებს...

საბურავებთან მუშაობა

წელს ფეტელის წარმატებული გამოსვლების ერთ-ერთი ძირითადი ტექნიკური მიზეზი "პირულის" საბურავებთან ბრწყინვალე მუშაობაა...

2011 წელს სებასტიანის სათუთი მოპყრობა საბურავებისადმი ნამდვილად მოჩვენად იქცა იმ ექსპერტებისთვის...

ფორმულა 1

მარია შარაპოვა სერიალულ ბრძანებას გასცემს. მარია შარაპოვას ტრავმა, რომლის გამოც რუსი ჩოგბურთელი იძულებული გახდა ტოკიოს ტურნირის მეოთხედფინალში პეტრა კვიტოვას წინააღმდეგ ბრძოლა შეეწყვიტა...

ფორმულა 1

ვალენსია და ბარსელონა მონაცვლითი კიდევ ერთი ცვლილება იგეგმება ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში...

ოლიმპიადი

შაბ როგა: ფაბალი ოლიმპიადი ჩემპიონი ვარ გახდება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა შაბ როგამ უარყო ფორმულა 1-ის ოლიმპიადის პროგრამაში შეტანის იდეა...

პარალიმპიადის პოპულარულია

ლონდონში XIV პარალიმპიადის სტარტებზე დასასწრებ ბილეთებზე დიდი მოთხოვნაა. ბრიტანეთის დედაქალაქში უნარმეზღვეულ სპორტსმენთა შორის თამაშები 2012 წლის 29 აგვისტოს დაიწყება...

მკაუნსოვა

ჩემპიონები ვირლანდის ლონდონში მიდიან. კენის მძლეოსნობის ფედერაციამ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ტეგუში მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულებს გარანტირებული ექნებათ ლონდონის ოლიმპიადის სავსე ზური...

კვირის ბოლოს



გამო ოფსიდიდან

ფსიქოლოგია

ფეტელის სტაბილურობა, უმეტესწილად, კარგ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება - პირველი ტიტულის

გვირკილი მოსაზრებაა გია თვალაპივილი